უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 3

2015 წ. "23" 02

ქ.თბილისი

შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო მიუთითებს გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივ საფუძვლებზე და აღნიშნავს შემდეგს:

1. ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ,,ბ[1]" პუნქტის, 56[1] პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიზანია შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სტანდარტი არის სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულება სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად;

3. ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56[1] მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის სტანდარტებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამები;

ბ) მატერიალური რესურსი;

გ) ადამიანური რესურსი.

4. ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56[2] მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭო საავტორიზაციო დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ავტორიზაციის შესახებ;

ბ) ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ;

გ) ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

5. ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56[4] მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 32-ე მუხლის შესაბამისად, დაწესებულების შემოწმების შედეგად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, თუ დაწესებულება არ შეესაბამება ერთ-ერთ სტანდარტს.

საბჭოს მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი და გამოკვლეული მონიტორინგის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნა. საბჭომ მოისმინა, როგორც მონიტორინგის ჯგუფის შეფასებები, აგრეთვე შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლების ახსნა-განმარტებები დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებთან დაკავშირებით.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი მოსაზრებების, აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ გამოარკვია, რომ შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტი ვერ აკმაყოფილებდა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსების სტანდარტებს.

შესაბამისად, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56[2] მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, 56[4]-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202205130) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 23 თებერვლის №2 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე